მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №4

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

8 ივნისს დასრულდა კონკურსის "ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" ფინალური ტური, რომელიც თბილისში, სამების ახალგაზრდული ცენტრის დარ-

ბაზში გაიმართა. გიმნაზიის უფროსკლასელთა გუნდი მეორე ადგილზე გავიდა და ტაო-კლარჯეთის საგზური მოიპოვა, ხოლო უმცროსკლასელები - მესამე ადგილზე გავიდნენ და საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს მოინახულებენ.

ასევე, მეუფე ილარიონისა და მამა ბასილის კურთხევით გიმნაზია ფინალისტ გუნდებს გადასცემს სამდღიან საგზურს საქართველოს ზღვისპირა კურორტზე.

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში - „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მესტიის სკოლა-გიმნაზია აქტიურად - 2017 წელს ჩაერთო, თუმცა მხოლოდ ერთი - უმცროსი ასაკობრივი ჯგუფით, რომელიც შვიდი მოსწავლისგან იყო დაკომპლექტებული(V-VIII კლასი) .ფინალამდე გასავლელი იყო ხუთი ეტაპი, ჩვენი მოსწავლეებისგან შემდგარმა შვიდეულმა „ოსანა“ პირველივე წელს მოიპოვა უმაღლესი ჯილდო, პირველი ადგილი - ერთკვირიანი საგზური წმინდა მიწაზე - იერუსალიმში.

მოგზაურობის დრო -2018 წლის 22-29 იანვარი გახლდათ.

შემდეგ წელს - ისევ წარმატებით გაიარა კონ-

კურსი ჩვენი სკოლის უკვე ორმა - მაღალი (IX - XII კლასი) და დაბალი ასაკობრივი ჯგუფის შვიდეულებმა - „ოსანა“ და „ადონაი“ რა დროსაც მოვიპოვეთ საგზური - ბორჯომ-ბაკურიანის საექსკურსიო- მომლოცველობითი ტურისა . მას შემდეგ გვქონდა თითქმის ხუთ წლიანი შესვენება, პანდემიის პირობებში კონკურსი არ ჩატარდა. ასე მოვედით დღემდე.

ორი სიტყვით ვიტყვი - კონკურსის მნიშვნელობაზე და სპეციფიკაზე . ძალიან რთულია - ბიბლიაზე მუშაობა. ეს განსაკუთრებულ მადლთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაა, ბავშვებმა სწორად დაინახონ და აღიქვან ბიბლიური მოვლენები, სწორად წარმოთქვან ურთულესი სახელები ადგილებისა, მოვლენებისა, დაიმახსოვრონ ფრაზები - სოლომონის სიბრძნიდან, ზირაქის სიბრძნიდან, წინასწარმეტყველებებიდან, მოციქულთა ეპისტოლეებიდან ... როგორც თავად მოსწავლეები აღნიშნავენ - განსაკუთრებით სიბრძნეებიდან და ეპისტოლეებიდან მიღებული ცოდნა ეხმარება მათ თავისუფალი თემების წერაშიც. ეს კონკურსი - მრავალმხრივ სასარგებლოა ბავშვებისთვისა და მასწავლებლებისთვის, რადგან ავითარებს ისეთ უნარებს, როგორიცაა გუნდურობა, დამოუკიდებელი აზროვნება, პასუხისმგებლობა, ლოგიკური მსჯელობის უნარი!

ვულოცავთ გუნდებს წარმატებას. ეს არ არის მხოლოდ კონკურსისთვის გამიზნული პროცესი, ეს არის იმ უდიდეს მადლთან ზიარება, რასაც ბიბლიის სწავლა და გააზრება ჰქვია!

წარმატებები ჩვენს მონაწილე გუნდებს!

მაგდალინა გოგოლაძე

უფასო კვლევები მესტიის საავადმყოფოში



6 ივნისს, მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიულ გაერთიანებაში, მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით და ინიციატივით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ჩატარდა კონსულტაციები ჩატარდა შემდეგი პროფილით:

ზოგადი ქირურგი- ვახტანგ ქერქაძე

ენდოსკოპისტი -ირაკლი პირველაშვილი

ტრავმატოლოგი- ჯაბა თალაკვაძე

კარდიოლოგი- ნინო გოგილაშვილი

ოფთალმოლოგი- ნანა დიღმელაშვილი

ექოსკოპისტი- თამთა ყველიაშვილი

ანგიოლოგი- ლაშა მუხიგულაშვილი

უმცროსი ექიმები: გიორგი ჯაფარიძე, თეა მოწყობილი, ტატა პაპავა, ქეთი გემაზაშვილი, ნათია ბოლოთაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი დღის მანძილზე ყველა პროფილის ექიმის კაბინეტთან რიგში უამრავი ადამიანი იდგა. მოწვეული ექიმები გვიან ღამემდე მუშაობენ, რათა არცერთი პაციენტი არ დარჩენილიყო უყურადღებოდ.

აქცია ჩატარდა მესტიის საავადმყოფოს და თბილისის ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკების ორგანიზებით.

მადლობას ვუხდით თბილისის ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმთა ჯგუფს და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

საერთაშორისო კლინიკათა ქსელის „იმპერიალის" წარმომადგენლობა საქართველოში

ბოლო ათეული წლების მანძილზე, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის 70% ზე მეტს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები.

მიუხედავად ჯანდაცვის სფეროში არსებული მთელი რიგი საშეღავათო პროგრამებისა, ხშირია შემთხვევა, როცა პაციენტებს ვერ უდგინდებათ სწორი დიაგნოზი ,რაც კიდევ უფრო აუარესებს მათ ჯანმრთელობას.

საერთაშორისო კლინიკათა ქსელის „იმპერიალის" - წარმომადგენლობა საქართველოში არის ხიდი ქართველ პაციენტებსა და თურქ პროფესიონალ ექიმებს შორის!

წარმომადგენლობის ხელშეწყობით, ინფორმაციული, ტექნიკური და მორალური მხარდაჭერით, შემდეგ კი თურქი ექიმების მაღალპროფესიული და ჰუმანური მიდგომით, არაერთი გამოჯანმრთელებული და ბედნიერი პაციენტი დაბრუნებულა თურქეთიდან საქართველოში.

უახლოეს პერიოდში, წარმომადგენლობა ხსნის ოფისს მესტიაში.

ოფისის წარმომადგენლები დაეხმარებიან ადამიანებს თურქეთში გასაგზავნი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, კვლევების გაგზავნაში შესაბამის ექიმებთან. ხოლო გამგზავრების აუცილებლობის შემთხვევაში, თავად უზრუნველყოფენ ტრანსფერს, სასტუმროს,

თარჯიმნობას და ყველა საჭირო პროცედურას, მათ შორის დანიშნული წამლების შეძენას და გამომგზავრებას საქართველოში. საოცარ ადამიანურ თანადგომას..

დაწვრილებითი ინფორმაციის შესახებ დაუკავშირდით წარმომადგენლობის მესტიის ოფისის ხელმძღვანელს გაგა ჩართოლანს. ტელეფონის ნომერი: 598 203929

გისურვებთ ჯანმრთელობას.

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სამუშაო შესვედრა

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მიერ ორგანიზებული, სამუშაო შეხვედრა გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების დირექტორებთან, 2023 წლის 2 ივნისს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში გაიმართა.

გაერთიანების დირექტორმა მაია ხერგიანმა აუდიტორიას გააცნო ავტორიზაციის მინიჭების წესის თანმიმდევრული, ეტაპობრივი მიდგომის გზები.

გაერთიანების დირექტორის მოადგილემ მეთოდურ დარგში, სვეტლანა ჩართოლანმა, განიხილა ავტორიზაციის მინიჭების პროცესისათვის თანმდევი საფეხურები:

- კითხვარები;
- კურიკულუმი;

- სტრატეგიული გეგმა.

საბავშვო ბაღების წარმომადგენელთა აქტიურმა ჩართულობამ შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში წარმართა.

განსახილველ საკითხთა აქტუალობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც აუდიტორიის მიერ დასმულმა შეკითხვებმა განაპირობა.

საბავშვო ბაღების დირექტორებს დაურიგდათ:

- ავტორიზაციის მინიჭების წესის გზამკვლევი;
- მშობლის კითხვარები;
- ბავშვთა სარეგისტრაციო ფორმები;
- თემატური ფერადი ილუსტრაციები აღსაზრდელთათვის თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად.

მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა

მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ახალი სახელმწიფო პროგრამა იწყება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის

ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის შესახებ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, მედიასთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალი პროგრამის მიზანი მაღალმთიან დასახლებებში, სადაც ეკონომიკური აქტივობა შედარებით დაბალია, კერძო სექტორის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და ადგილობრივი მაცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამა განხორციელდება მაღალმთიან დასახლებებთა ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ დასახლებებში და ითვალისწინებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით დაფინანსებას; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც შემნახველი, გადამამუშავებელი საწარმოები, მარნები, მცირე საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ასევე სხვა ნებისმიერი ბიზნესიდეა, გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ეს გამონაკლისები

პროგრამაშია გაწერილი და მოიცავს სამშენებლო საქმიანობას, დეველოპერულ საქმიანობას, სავაჭრო ობიექტებს, სატრანსპორტო მომსახურებას და ა.შ. ასევე გამონაკლისებშია სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოება, ვინაიდან, ეს მიმართულება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ფინანსდება და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

„ვფიქრობ, ახალი პროგრამა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მაღალმთიან დასახლებებში სხვადასხვა საქმიანობის წამოწყებას, მათ შორის, ახალგაზრდების ჩართულობას; მათ ექნებათ დამატებით 10% თანადაფინანსება. პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი სოციალურის პირობების გაუმჯობესებას", - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე შეადგენს არანაკლებ 30,000 ლარს და არაუმეტეს 100,000 ლარს, მაგრამ არაუმეტეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ს. დამატებითი 10%-იანი ბენეფიტია განსაზღვრული ახალგაზრდა მეწარმეებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის. აღსანიშნავია, რომ პროექტის ჯამური ღირებულება, განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის, არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს.

ამ ეტაპზე, პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 5 მლნ ლარის ოდენობით. სოფლის განვითარების სააგენტო განაცხადების მიღებას ივნისის მეორე ნახევრიდან დაიწყებს.

უფასო მკურნალობა და ოპერაციები

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება.

პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარი ასევე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

აქამდე, ოპერაცია ნაწილობრივ ფინანსდებოდა. ამიერიდან კი სრულად (120 000 ლარით) დაფინანსდება როგორც დიაგნოსტიკის, ასევე ოპერაციის ხარჯები.

რაიონული კონფერენცია

2023 წლის 27 ივნისს, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია.

კონფერენცია გაიმართა მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, კონფერენციის მიზნები (მასწავლებლებისთვის):

2022-2023 სასწავლო წელს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საინტერესო პედაგოგიკური პრაქტიკის გამოვლენა და საუკეთესო პროფესიული გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის.

კომპლექსური დავალების, როგორც პედაგოგიკური ინსტრუმენტის ანალიზი;

მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება;

ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;

ვის შეუძლია მონაწილეობა:

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების ნებისმიერ დაინტერესებულ მასწავლებელს.

რა უნდა გაითვალისწინოს მონაწილეობის მსურველებმა მონაწილეობის მსურველი მასწავლებელი განხორციელებული კომპლექსური დავალების შესახებ პრეზენტაციის მომზადებისას, სურვილისამებრ, კონსულტაციას გაივლის საგნობრივ ექსპერტთან სკოლის დირექციასთან დააფიქსირებს მონაწილეობის სურვილს;

პრეზენტაციას გამოაგზავნის რესურსცენტრში კონფერენციის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე;

კონფერენცია ითვალისწინებს ასევე დირექტორების/სასკოლო პროექტის მართვის

გუნდის წევრი/წევრების მონაწილეობას.

კონფერენციის მიზნები ლიდერობის მიმართულებისთვის:

საუკეთესო გამოცდილების გაზიარების გზით ურთიერთ დახმარება-განვითარება.

პრეზენტაციაში უნდა იკითხებოდეს:

როგორ დაიწყო სკოლამ სასკოლო პროექტზე მუშაობა, რა პრიორიტეტული თემა აირჩია, რატომ შეირჩა წარმოდგენილი თემა, რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს მიმართულება კონკრეტული სკოლისთვის;

ვინ ჩართო სასკოლო პროექტში (მაგალითად: ჩართულია/მონაწილეობს ხელოვნების მასწავლებელი, კლუბის ხელმძღვანელი, დამრიგებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და ა.შ)

ასევე სასკოლო პროექტის კონკრეტული აქტივობები, რა ნაბიჯები გადადგეს, რა დაბრკოლება შეხვდათ, როგორ გაუმკლავდნენ გამოწვევებს, რა ეტაპზე არის პროექტი ამჟამად?

სასურველია პრეზენტატორმა ყურადღება გაამახვილოს სკოლის მართვისა და სასკოლო კულტურის

გაძლიერების საკითხებზე.

კონფერენციაში მომხსენებლად მონაწილეებზე გაიცემა დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი გისურვებთ წარმატებებს!

დაბზარული, მაგრამ უდრეკი კოშკი

ზაფხულის ერთ მზიან დღეს, თვეთნულდის კალთებზე მუჯვრაზე დაყრდნობილი ვათვალიერებდი აქამდე უცნობ არემარეს.

თეთრწვერა მყინვარები მზის სხივებს ირეკლავდნენ და ჩაწოლილ ხევების ყველაზე ბნელ კუნჭულსაც სხივებს უშენდნენ.

ამღვრეული მდინარეები კალაპოტებს იკვალავდნენ, ქვემოთ ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და გაერთიანებული ძალებით აზანზარებდნენ კლდეებს.

ჩემი ამაყი სვანეთი ყველგან აღმაფრთოვანებელია, ამას მეც, ბუნების დიდი მოტრფიალეც შეგუებული ვარ, მაგრამ ყოველ ჯერზე ახერხებს ეს დალოცვილი ჩემს განცვიფრებას. ჩემთვის უცნობ ხეობაში მოვხვდი ამ დღეს, ჩემი სოფლის მთებიდან საკმაოდ შორს, თუმცა სვანეთის სურნელი არც აქ ნელდებოდა.

დილის მისტიკა მათთვის ცნობილია ვისაც სისხამს უხილავს ბუნების გამოღვიძება.

ამას უკვე მერამდენედ განვიცდიდი, თუმცა გული მაინც ისე მიძგერდა, როგორც პატარა ბავშვს.

მთებში, ტყე-ღრე ბოდიალი დამჩემდა ამ პერიოდში. კაცთა შორის ვერ ვცნობდი ჩემად ვერავის. არავისთან საუბარი ისე არ ანუგეშებდა ჩემს სულს, როგორც მთებთან ჭიდაობა.

თითქოს სულიერ საზრდოს მაძლევნდნენ და მეც მწარედ დამშეული დავეწაფებოდი მათ ნაწყალობევს. ჩემი დიდრონი თეთრწვერა წინაპრების სახით წარმომიდგებოდნენ მწვერვალები და მარიგებდნენ ჭკუას. ამ ფიქრებს აყოლილი მრავალი დღე და კვირა დავეხეტებოდი მშობლიურ მთებში. ვფიქრობდი წინაპართა გზა აუცილებლად მიმიყვანდა იმ ჭეშმარიტებასთან, რასაც დღეს ყველა დედა ბუდიანად ებრძვის და ფეხქვეშ თელავს. სწორედ, ამ ფიქრებმა მომიყვანა ჰადიშურას ხეობაში ჩემდა უკითხავად.

მერცხლის ბუდესავით შეფენილი, მთების წრეში მოქცეული, თითქოს ხელის გულზე ნატარები და მრავალსაუკუნოვან სამჭედლოში გამოწრთობილი ჰადიში გამოჩნდა ჩემს წინ.

ზემოდან დიდ, მრავალტანჯულ, მშრომელ და დანაოჭებულ ხელის გულზე ამოსულ სოფელს გავდა. ეტყობოდა ამ ხეობაში რკინის მხრებიან ხალხს უცხოვრია, არა მხოლოდ არსებობისათვის, არამედ შვილთა საამაყოდ აშოლტილი მედიდური კოშკებისა და სალოცავების შენებისათვის. სოფლის შორიდან თვალიერებამ დიდად გამიტაცა, მაგრამ რა გული მომითმენდა სანამ მის სამარხილე გზებზე არ გავივლიდი. მზე კარგად აცხუნებდა, როცა თავქვე დავეშვი. გზად ყინულივით ცივ წყაროსთან გულმკერდი გავისველე და სოფლის პირას მდგარ კოშკს მივადექი.

ჩემს წინ ალვის ხესავით აღმართული მურყვამი კოპებშეკრული თვლემდა. ოხ რა ამაყი და შეუდრეკელია; გავიფიქრე გულში. თითქოს ცოდვა გამევლოს, უცბად ისე მოიღრუბლა უკუნეთივით ჩამოაბნელა არემარე და წამოვიდა სეტყვა. წამიერად ჩემი თავი დავადანაშაულე მყუდროების დარღვევისათვის და ჩემს გამოგზავნილ სასჯელად მივიღე ყოველივე. რამოდენიმე მარცვალი მომხვდა და გამომარკვია ფიქრებიდან.

მეც მივაშურე კოშკის კედლებს თავშესაფრად, მაგრამ თავზარი დამცა ნანახმა...

კოშკს, რომელსაც რამოდენიმე წუთის წინ პირისპირ ვუმზერდი, მხოლოდ ისღა დარჩენილიყო რაც მაშინ ჩანდა. თავიდანვე შევატყვე მის მკერდზე ბზარები, მაგრამ ვიფიქრე ნაოჭები ვერაფერს დააკლებს თქო.

ცალი გვერდიღა დარჩენილიყო მოხუცი, თუმცა მსგავსს ვერაფერს შეატყობდით მაინც ისე მედიდურად იდგა სოფლის სადარაჯოზე. იმ ცალი გვერდით ერთვოდა ძირიდან ზეცას მისი ფესვები და ამიტომ იდგა უდრეკად. მის შუაგულში დაუფიქრებლად შევხტი და კედელს მივეტმასნე. სეტყვისა და ჭექის ქარიშხლისგან მისი ერთადერთი კედელი მიცავდა. წამიერად, ავავლე თვალი და წარმომიდგა ის მზიანი დღე, როდესაც რკინის მხრებიანი ჰადიშელები ამ კოშკს ლილეოს სიმღერით აშენებდნენ. უმალ ჭექამ გამომაფხიზლა, გულზე შემომეყარა ძალიან, მე ხომ მათ შორის ვხედავდი ჩემს ადგილს, ვინც ნამდვილად აშენებდა სვანეთის სიდიადეს. მე ხომ ამას ვეძებდი, ამ განცდასა და ამ გრძნობას, რომ თავი წინაპრების გვერდით დამეგულებინა ავდარი კი ამის საშუალებას არ მაძლევდა.

მეტად ჩამობნელდა, სეტყვამ უმატა, ჭექა-ქუხილი კოშკის ერთადერთ კედელს აზანზარებდა. ერთ წამს გავიფიქრე სადაცაა ჩამოინგრევა და გაცლა დავაპირე, მაგრამ კოშკმა, როგორც მარტოსულმა თითქოს ნაღვლიანი თვალებით შემომხედა, მისი ცრემლი კისერში ჩამეღვარა და მითხრა "ამდენი ხნის შემდეგ მოსული ამხანაგი ისევ მარტოობისთვის მიმეტებო? ". უცბად სიმწრის ბურთი ყელში მომებჯინა, გულის ნაღველი ცრემლებად გადმოენთო თვალებიდან, ორივე ხელი მის დახეთქილ ნაპრალებში ღრმად შევყავი და მთელი ძალით მივეკარი მკერდით. გულში ვამბობდი "თუ წაქცევა გვიწერია ერთად წავიქცეთ!". ასე ერთმანეთზე მიკრულები, ძმებად გაფიცულებივით ვიდექით სიკვდილის მოლოდინში, სანამ მზემ სხივი არ მოგვაბჯინა. სიხარულისგან ისევ წამომცვივდა ცრემლები, როდესაც ამაყად მდგარი ჩემი ამხანაგი ისევ მედიდურად მიმზერდა ზევიდან.

ის ღამე მის ნანგრევებში გავათენე, ვიცოდი, რომ ყველა ხიფათისაგან დამიცავდა ჩემი უღალატო ამხანაგი. ის ხომ ჩემმა წინაპრებმა შვეს და ისიც მათ მემკვიდრეს ერთგულებით უხდიდა სამაგიეროს ქვებზე მიწოლილი მე და ახალი მეგობარი უსიტყვოდ ვუმზერდით ვარსკვლავებს.

მათ შორის იმ წინაპრების ანარეკლს ვხედავდით, რომლითაც ასე ვამაყობით ორივე.

სიტყვები რის მაქნისი იყო, ჩემსა და მდუმარე ამხანაგს შორის.

უსიტყვოდაც კარგად გვესმოდა ერთმანეთის.

ამასობაში გათენდა, თეთრად გათენებულ ღამეში თვალწინ გაირბინა უამრავმა ფიქრმა და აზრმა. ის რაც ამ კედლებში განვიცადე, სადაც დიდ სოფელში მამლის ყივილი არ ისმოდა მაშინ, ვნატრობდი ვინმე სულიერი დამენახა, რომ ჩემი არყოფნის დროს კოშკისთვის ამხანაგობა გაეწია.

სოფელში არ მოვისურვე შესვლა. არ მინდოდა ამ მოგონებაში, რომელიც ცხოვრებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს გულში, ჩემი და ჩემი მხცოვანი ამხანაგის გარდა ვინმე ყოფილიყო. დილით სასწრაფოდ ავდექი, ჩემს უღალატო ამხანაგს ხელი ბოლოჯერ ჩამოვუსვი დამშვიდობების ნიშნად და გზას უკან გავუყევი. მთელი გზა მინდოდა უკან მიმეხედა, მაგრამ მეგონა მის ნაღვლიან მზერას ვერ გავუძლებდი. ისევ მარტოს ვტოვებდი, მარტოობისათვის გაჩენილს. თითქოს მხოლოდ მე ვიყავი მისი ნუგეში და ასე დაძმობილებული კვლავ ეულად ვტოვებდი, ღალატობდი.

როდესაც ქედს თავზე მოვექეცი და ამას იქეთ ვეღარ ვიხილავდი ამ მერცხლის ბუდეს, მოვბრუნდი და უკანასკნელად შევხედე მეგობარს. ჩამავალი მზის სხივები მის მკერდზე ირეკლავდნენ თითქოს ცრემლებს. ცრემლმორეული მეც თვალს ვუსწორებდი მას, სანამ უკანასკნელი სხივები არ ჩაეშვა უკუნეთში.

ირაკლი ნარსავიძე

მიუსაფარი ძაღლების ჰროპაღანდა

ქუჩაში მცხოვრები უპატრონო ცხოველები ხშირად სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს ავრცელებენ და შესაბამისად საზოგადოებისთვის ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. აუცილებელია აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილება, ცხოველთა უფლებების დაცვა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ადამიანებს აკისრიათ უდიდესი მორალური ვალდებულება ყველა ცოცხალი არსების წინაშე მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ორგანიზებით შინაურ ბინადარ ცხოველთა მონიტორინგის სპეციალური ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა დაბა მესტიიდან უპატრონო და უმეთვალყურეო (მიუსაფარი) შინაური ბინადარი ცხოველების ქუჩიდან აყვანა. მათ ჩაუტარდებათ შესაბამისი პროცედურები, მათ შორის ვაქცინაცია, კასტრაცია/სტერილიზაცია, დეჰელმენტიზაცია, რის შემდეგაც ცხოველები დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ გარემოს.

აღსანიშნავია რომ პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. ამიტომ, თუ არ გსურთ თქვენს საკუთრებაში არსებულ ცხოველს ჩაუტარდეს აღნიშნული პროცედურა, გთხოვთ, დატოვოთ სახლში, ვინაიდან შემდგომ ეტაპზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და ქუჩებში თავისუფლად მოსიარულე ყველა ძაღლი აყვანილი და გადაყვანილი იქნება შესაბამისი პროცედურისთვის.

ინფორმირებული და კანონიერი მიგრაციის მხარდაჭერა

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, მიგრაციიის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) მიერ. შეხვედრის თემა გახლდათ „ინფორმირებული და კანონიერი მიგრაციის მხარდაჭერა“.

შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მიგრაციის საკითხებზე მოსახლეობისთვის ცნობიერების ამაღლება.

შეხვედრაზე განხილული გახლდათ შემდეგი საკითხები:

ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, უვიზო მიმოსვლა, უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები, რომელიც მოიცავს :

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და შრომითი ექსპლუატაციის საშიშროებას
2. შენგენის ზონიდან გაძევების რისკს
3. მიგრანტის თავისუფლების შეზღუდვას
4. მიგრანტის შეზღუდულ წვდომას ჯანდაცვაზე განათლებაზე, დასაქმებასა და სოციალურ მომსახურებაზე.

მიგრაციის კანონის გაძლიერებასა და ევროპული სდტანდარტებთან დაახლოების მიზნით, შემოდის საშუამავლო კომპანიების სავალდებულო სერტიფიცირება, რომელიც იქნება სრულიად უფასო; სერტიფიცირების შემდეგ ინფორმაციაა იქნება სრულიად საჯარო,რათა მოქალაქეებისთვის ცნობილი იყოს ინფორმაცია იმ კომპანიებზე, რომლების აკმაყოფილებენ სტანდარტებს ,ამსთანავე მოხდება კომპანიების კანონიერი საქმი-

ანობის წახალისება და განვითარების მხარდაჭერა.მარეგულირებელ მექანიზმად კი შრომის ინსპექცია შემოვა, ასევე შემოვა სანქციების მექანიზმი.აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის „შრომის ინსპექციის“, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის „დასაქამების ხელშეწყობის შესახებ“ კანონებსა და „საქართველოს შრომით კოდექსში“.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის პრეზენტაცია

22 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი მესტიაში - ქალბატონი ირინა გურჩიანი შეხვდა საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციისა და მესტიის მუნუციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებს.

შეხვედრის მიზანი იყო სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია - ადრეული / ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში, არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები.

პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ.

„კანონმდებლობამ უნდა მოახდინოს იძულებითი ქორწინების კრიმინალიზება და უნდა აღიაროს, რომ ნებისმიერი ბავშვთა ქორწინება არის იძულებითი ქორწინება.

კანონმდებლობამ ასევე ფართოდ უნდა განმარტოს იძულებითი ქორწინება, მათ შორის, უნდა გაითვალისწინოს სრული და თავისუფალი თანხმობის კონცეფცია. იძულებითი ქორწინების დანაშაული უნდა შეფასდეს ზიანისა და დამამძიმებელი ფაქტორების მიხედვით", ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის სპეციალურ ანგარიშში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია და გამოითქვა მოსაზრებები ურთიერთთანამშრომლობის ფორმებზე შეხვედრა ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახში.

კოლეჯი „თეთნულდი“ აცხადებს რეგისტრაციას შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:

ბუღალტრული აღრიცხვა- სწავლის ხანგრძლივობა 16 თვე , პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

ელექტროობა - სწავლის ხანგრძლივობა 8 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

ინფორმაციის ტექნოლოგია- სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

კომპიუტერული ქსელი და სისტემები - ხანგრძლივობა 16 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება.

კონდიტერი - სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

კულინარიის ხელოვნება -მოდულური მიდგომით, სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

კულინარიის ხელოვნება - დუალური მიდგომით სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

სამკერვალო წარმოება - სწავლის ხანგრძლივობა 17 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა- საბაზო განათლება.

სასტუმრო მომსახურება- სწავლის ხანგრძლივობა 13 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა -სრული ზოგადი განათლება.

სატყეო საქმე - სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა -სრული ზოგადი განათლება.

სატყეო საქმე (ინტეგრირებული} სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა- საბაზო განათლება.

ხის მხატვრული დამუშავება - სწავლის ხანგრძლივობა 17 თვე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლება.

რეგისტრაციის გასავლელად ეწვიეთ საიტს WWW.VET.EMIS.GE ან მობრძანდით კოლეჯში „თეთნულდი“, მის: მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. 25 რეგისტრაცია დასრულდება 10 სექტემბერს !

სწავლა უფასოა!!!!!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომრებზე : 577 577406 598 579903 595 277667

გისურვებთ წარმატებებს.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ. ირმა ჯაჭვლიანი, სოფო ანსიანი

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, სოფო ანსიანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში”

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ირმა ჯაჭვლიანი

ელ. ფოსტა:

irmajachvliani1968@gmail.com